# არქივის ელექტრონული კატალოგის პრეზენტაცია

**პრესრელიზი**

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული საარქივო დოკუმენტების აღწერილობების ხილვა ახლა უკვე ელექტრონულადაა შესაძლებელი. 14 მაისს, 16:00 საათზე, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში გაიმართება არქივის ელექტრონული კატალოგის პრეზენტაცია.

აღნიშნული პროექტის მიზანია გაადვილდეს ცენტრში დაცული საარქივო მასალის კვლევა.

თანამედროვე საძიებო სისტემა მკვლევრებსა და დაინტერესებულ პირებს საშუალებას მისცემთ მარტივად შეარჩიონ მათთვის საინტერესო დოკუმენტი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ვებ-გვერდზე. გარდა ამისა ფილტრით კიდევ უფრო გაუადვილდებათ სასურველი მასალის ძიება. ბაზა 20-ამდე მონაცემის მიხედვით ძიების საშუალებას გვაძლევს: თარიღის, რაობის, ტოპონიმისა და სხვა.

პროექტზე მუშაობა 2 წელია მიმდინარეობს. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივმცოდნეობის და ელექტრონული არქივის განყოფილების თანამშრომლებმა ამ ეტაპზე ბაზაში 500- მდე ერთეული შეიყვანეს.

აღიშნული პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა მსგავს ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მათთან დაცული მასალის ბაზაში შეტანა. ამ სახით ელექტორნული კატალოგი გახდება ერთიანი სრული პორტალი, სადაც ნებისმიერ მსურველს შეეძლება ნებისმიერი საარქივო დოკუმენტის შესახებ მოიძიოს ინფორმაცია.

#

**საკონტაქტო ინფორმაცია**

*მარიამ ჯაბიძე*, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი,

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი

Tel: 577 977 199

E-mail: pr@manuscript.ac.ge

Mariam.jabidze@manuscript.ge

Web: www.manuscript.ge